




შემაჯამებელი საინფორმაციო ბიულეტენი №7 (ივნისი - ნოემბერი, 2017 წელი)

საიას სადამკვირვებლო მისიის შესახებ

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დაკვირვება სათაო და რეგიონული ოფისების მეშვეობით, თბილისსა და საქართველოს 8 რეგიონში: აჭარაში, გურიაში, იმერეთში, შიდა ქართლში, ქვემო ქართლში, კახეთში, მცხეთა-მთიანეთსა და სამეგრელოში განახორციელა.



2016-2018 საარჩევნო ციკლის ფარგლებში, საიას მიერ განხორციელებული მონიტორინგის მიზანს წარმოადგენს, ხელი შეუწყოს: ობიექტური, სამართლიანი, დამოუკიდებელი და ეფექტური გამოძიების, სამართლიანი სასამართლოსა და ერთგვაროვანი პრაქტიკის დამკვიდრებას და უზრუნველყოს ინკლუზიური და კონკურენტული საარჩევნო გარემოს ხელშეწყობა ქალების, შშმ პირებისა და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებისთვის. ასევე, გამჭვირვალე საარჩევნო პროცესების ხელშეწყობა, კერძოდ კი საქართველოს მოქალაქეებისა და საერთაშორისო საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდება 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის

არჩევნებთან დაკავშირებულ დარღვევებსა და ტენდენციებზე და ყურადღების გამახვილება ხარვეზებზე, რომელიც თან ახლავს საარჩევნო პროცესებს. საარჩევნო კანონმდებლობაში პრობლემების იდენტიფიცირება და არჩევნების დასრულების შემდეგ შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების ადვოკატირება.

დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში, ორგანიზაცია შესაბამის ინფორმაციას თუ საჩივრებს, კანონით გათვალისწინებული რეაგირების უზრუნველყოფის მიზნით, საარჩევნო ადმინისტრაციაში, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის უწყებათაშორის კომისიაში, სახელმწიფო აუდიტის სამსახურსა და სხვა შესაბამის უწყებებში წარადგენდა.


ბიულეტენში ასახულია ის ფაქტები, მოვლენები და დარღვევები, რომლებსაც შეუძლიათ გარკვეული გავლენა მოახდინონ საარჩევნო გარემოზე. მასში მოყვანილი სავარაუდო დარღვევებისა და ფაქტების შესახებ ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით საიას დამატებით აქვს გამოთხოვილი ინფორმაცია, რომლის ანალიზის შედეგებსაც, მიმდინარე კვლევების ფარგლებში გავაცნობთ საზოგადოებას.

წინამდებარე საინფორმაციო ბიულეტენი მომზადებულია USAID-ის მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის - „საქართველოში კონკურენტული, სამართლიანი და ინკლუზიური საარჩევნო გარემოს ხელშეწყობა 2016-2018 საარჩევნო ციკლისთვის“ ფარგლებში.

ობიექტური, დამოუკიდებელი და ეფექტური გამოძიება

საია 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მიმდინარეობისას მონიტორინგს უწევდა არჩევნებთან დაკავშირებულ დანაშაულებზე სამართალდამცავი ორგანოების რეაგირებას. საია აკვირდებოდა არჩევნებთან დაკავშირებული სისხლის სამართლის 19 მიმდინარე საქმეს. გამოძიება დაიწყო/მიმდინარეობდა შემდეგი სახის სავარაუდო დანაშაულებზე:

სავარაუდო დანაშაულები



- ქურდობა (177-ე მუხლი)- 1
- იძულება (150-ე მუხლი)- 1
- მუქარა (151-ე მუხლი)- 1
- თავისუფლების უკანონო აღკვეთა (143-ე მუხლი)- 1
- სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება (333-ე მუხლი)- 1
- განზრახ მკვლელობა დამამაძიმებელ გარემოებებში (მცდელობა) (მე-19, 109-ე მუხლი) - 1
- ნივთის დაზიანება ან განადგურება (187-ე მუხლი) -8
- ძალადობა (126-ე მუხლი) - 4
- ქრთამის აღება (338-ე მუხლი) - 1

საყურადღებოა, რომ ნივთის დაზიანებისა და ძალადობის სავარუდო ფაქტების მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა, რაც მიუთითებს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ამგვარი დანაშაულების პრევენციისთვის გასატარებელი ღონისძიებების აუცილებლობაზე.

2016 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს გამოკვეთილი პრობლემის მსგავსად, კვლავ პრობლემური იყო ე.წ. **წინასაგამოძიებო შემოწმებების** ჩატარება, რომელიც კანონმდებლობით არ არის გაწერილი. [თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის საბოლოო ანგარიშიდან](#) ირკვევა, რომ ამგვარი შემოწმება ჩატარდა 5 ფაქტზე. ერთ შემთხვევაში აღმოჩნდა, რომ ე.წ. წინასაგამოძიებო საქმეს ანიჭებენ სპეციალურ ნომერს და არეგისტრირებენ, რაც ამგვარი პრაქტიკის სისტემურობაზე მიუთითებს.

არ დაფიქსირებულა შემთხვევა, როდესაც ე. წ. წინასაგამოძიებო შემოწმება გამოძიების დაწყებით დასრულებულიყო, რაც აღრმავებს ეჭვებს იმასთან დაკავშირებით, რომ ამგვარი შემოწმებები მიმართულია გამოძიების დაწყებისგან თავის შეკავებისკენ და სავარაუდო დანაშაულებრივი ფაქტის სტატისტიკაში ასახვის გარეშე დატოვებისაკენ.

ზოგადი პრობლემები

- აღსანიშნავია, რომ საიას მიერ იდენტიფიცირებული შესაძლო დანაშაულებიდან არცერთი არ დაკვალიფიცირებულა სისხლის სამართლის კოდექსის 162¹ მუხლით (კენჭისყრის შენობაში, საარჩევნო კომისიის განთავსების ადგილას ან მათ მიმდებარე ტერიტორიაზე, ან წინასაარჩევნო აგიტაციის ან წინასაარჩევნო კამპანიის ღონისძიების დროს ძალადობა ან ძალადობის მუქარა). უწყებათაშორისი კომისიის ანგარიშში წარმოდგენილი სტატისტიკის მიხედვით, მხოლოდ 1 საქმე დაკვალიფიცირდა აღნიშნული მუხლით და ამ საქმეზეც სისხლის სამართლის დევნა ჯერ არავის მიმართ დაწყებულა. ამგვარი სტატისტიკა მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ აღნიშნული მუხლის კოდექსში ჩაწერის საჭიროება არ არსებობდა.
- საიას არ დაუფიქსირებია სავარაუდო დანაშაული, სადაც პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციული მოტივი გამოიკვეთა. მხოლოდ ერთ საქმეში (ახალციხის რაიონის სოფელ ურაველში მომხდარი თავდასხმა) გაკეთდა მითითება, რომ დანაშაულის ჩადენის დროს პოლიტიკური მოტივი არ გამოიკვეთა. ამ მიმართულებით, აუცილებლად მიგვაჩნია სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების ცნობიერების ამაღლება, რათა დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილი დანაშაული სათანადო კვალიფიკაციის ან სასჯელის შეფარდების გარეშე არ დარჩეს.
- მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე, დიდი დრო არ არის გასული, საქმეების უმეტესობაში, პრობლემური არის/იქნება გამოძიების გაჭიანურება. ზოგიერთი დანაშაულის სპეციფიკიდან გამომდინარე, დროის გასვლასთან ერთად იკლებს სრულყოფილი გამოძიების ჩატარების შესაძლებლობა (იკარგება გარკვეული მტკიცებულებები, მოწმეებს შესაძლოა დაავიწყდეთ საქმისათვის მნიშვნელოვანი დეტალები და სხვ.).

პრევენციული ღონისძიებები

- პოზიტიურად უნდა შეფასდეს კენჭისყრის დღეს შინაგან საქმეთა სამინისტროს მობილიზება და გატარებული პრევენციული ღონისძიებები. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ პრობლემური იყო საარჩევნო უბნებთან განთავსებული პოლიციელების მიერ უბანზე შესვლის პროცედურებისა და კენჭისყრის შენობაში ყოფნის მქონე პირთა შესახებ ინფორმაციის არქონა. კენჭისყრის პროცედურის დასრულების შემდეგ, პოლიციელები, რიგ შემთხვევებში, კეტავდნენ მთლიან შენობას, სადაც განთავსებული იყო რამდენიმე საარჩევნო უბანი და დამკვირვებლებს უწევდათ პოლიციელებთან დისკუსია და ძალისხმევა, რათა მოეხერხებინათ სასურველ უბანზე შეღწევა.
- დადებითად უნდა შეფასდეს შსს-ს ბრძანებით პოლიციელების დავალება, ინციდენტის შემთხვევაში, განეხორციელებინათ ვიდეოგადაღება.

საია აგრძელებს საქმეების შესწავლას და საზოგადოებას სიღრმისეულ კვლევას წარმოუდგენს.

მართლმსაჯულება საარჩევნო დავებზე და არსებული გამოწვევები

საიას 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებზე საარჩევნო დავების განხილვის შედეგების გაანალიზებული მონაცემების მიხედვით, პირველ და მეორე ტურზე, კენჭისყრის დღისა და შემდგომ პერიოდში საიას დამკვირვებლების მიერ წარდგენილი საჩივრები ეხებოდა:

- საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლების მიერ ამომრჩევლების პერსონალური ინფორმაციის დამუშავებას;
- კომისიის წევრების მიერ უფლებამოსილების არასათანადოდ განხორციელებასა და წილისყრის პროცედურების დარღვევებს;
- კენჭისყრის პროცედურებთან დაკავშირებულ დარღვევებს;
- დამკვირვებლის უფლებების შეზღუდვას;
- ხმის დათვლასა და კენჭისყრის შედეგების შეჯამებასთან დაკავშირებულ დარღვევებს.

აღსანიშნავია, რომ არჩევნების დღის შემდგომი პერიოდის საჩივრები ძირითადად საუბნო საარჩევნო კომისიების კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმებში მთელ რიგ უზუსტობებს ეხებოდა, კერძოდ, ამ არჩევნებზეც, კვლავ პრობლემად დარჩა:

- შემაჯამებელი ოქმების არაერთგვაროვანი შევსება;
- ხელმოწერებისა და კომისიის ბეჭდების არ არსებობა;
- დისბალანსი (ნაკლებობა ან მეტობა);
- შესწორების ოქმების კანონმდებლობის დარღვევით შედგენა, რა დროსაც არ ხდებოდა ადმინისტრაციული წარმოების სრულად ჩატარება და საქმესთან დაკავშირებული გარემოებების სრულად გამოკვლევა.

რაც შეეხება სხვა სუბიექტების მიერ წარმოებულ საარჩევნო დავებს,¹ საოლქო საარჩევნო კომისიებში საჩივრები ძირითადად წარდგენილი იყო კენჭისყრის პროცედურების დარღვევის, შემაჯამებელი ოქმების არასათანადოდ შედგენისა და ამომრჩეველთა უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით.

ზოგადი ტენდენცია


ძირითადად, საარჩევნო დავების განხილვისას გამოიკვეთა, რომ მიუხედავად კანონმდებლობის დარღვევების დადასტურებისა, საარჩევნო ადმინისტრაცია და სასამართლოები იმ მოტივით, რომ დარღვევას არსებითი გავლენა არ მოუხდენია შედეგებზე, არ აკმაყოფილებდნენ საჩივრებს შემაჯამებელი ოქმების ბათილობისა და უზნების შედეგების გადათვლის შესახებ და მხოლოდ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებით შემოიფარგლებოდნენ. საარჩევნო კომისიების განკარგულებები არ შეიცავდა სათანადო დასაბუთებას და საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებანი არ იყო სრულყოფილად გამოკვლეული/შეფასებული.

¹ მონიტორინგის პროცესში საიას დამკვირვებლების მიერ შესწავლილ იქნა საარჩევნო სუბიექტებისა (3 საჩივარი) სადამკვირვებლო ორგანიზაციების მიერ (64) საოლქო საარჩევნო კომისიებში ნაწარმოები 67 საარჩევნო დავა (ქვ. ქართლი, კახეთი და აჭარა).

სტატისტიკა და სამართალწარმოება

საიას დამკვირვებლების მიერ საარჩევნო კომისიებსა და სასამართლოებში წარდგენილი საჩივრების/ შენიშვნებისა და ამ საჩივრებზე მიღებული გადაწყვეტილებების სტატისტიკა:

პირველი ტური:




საოლქო საარჩევნო კომისიებში წარდგენილი საჩივრებიდან (ჯამში 270 საჩივარი) **2 შემთხვევაში** - მოთხოვნილ იქნა კენჭისყრის შედეგების ბათილობა,² **39 შემთხვევაში** - საუბნო საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი ოქმების ბათილობა, **58 შემთხვევაში** - კენჭისყრის შედეგების გადათვლა, **220 შემთხვევაში** - საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების დისციპლინარული პასუხისმგებლობა, **4 შემთხვევაში** - საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა³.


²#79 ბათუმის ოლქის #102 და #22 საუბნო საარჩევნო კომისიების შემაჯამებელ ოქმებში ბიულეტენების მეტობასთან დაკავშირებით;

³ საიას დამკვირვებლები ერთ საჩივარში აფიქსირებდნენ რამდენიმე მოთხოვნას, ამიტომ მოთხოვნების რაოდენობა აღემატება საჩივრების რაოდენობას.

2017 წლის 21 ოქტომბრის ადგილობრივი
 თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებზე საოლქო
 საარჩევნო კომისიებში წარდგენილი საჩივრები და
 მოთხოვნები (ჯამში: 321 მოთხოვნა)




საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ მიღებული უარყოფითი გადაწყვეტილებები საიამ სასამართლოში გაასაჩივრა.




2017 წლის 21 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებზე თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოებში წარდგენილი საჩივრები

ჯამში: 4




მეორე ტური:

2017 წლის 12 ნოემბრის მეორე ტურის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებზე კენჭისყრის დღის საჩივრები და შენიშვნები
ჯამში: 36 საჩივარი და 27 შენიშვნა



მეორე ტურზე, საოლქო საარჩევნო კომისიებში წარდგენილი საჩივრებიდან 1 შემთხვევაში - მოთხოვნილ იქნა ბათილად მიჩნეული ბიულეტენების ხელახლა გადათვლა/გადამოწმება,⁴ 1 შემთხვევაში - გადასატანი საარჩევნო ბიულეტენების შედეგების ბათილად ცნობა,⁵ 1 შემთხვევაში - 16 ბათილ ბიულეტენზე რეგისტრატორების ბეჭდების ნომრების მიხედვით, რეგისტრატორების იდენტიფიცირება და მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.⁶ 22 შემთხვევაში - საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების დისციპლინარული პასუხისმგებლობა.



კონკრეტული დარღვევებისა და წარმოებული საარჩევნო დავების სტატისტიკასთან ერთად, გვსურს რამდენიმე ტენდენციას გავუსვათ ხაზი, რომელსაც ადგილი ჰქონდა საარჩევნო დავების განხილვისას როგორც საარჩევნო ადმინისტრაციებში, ასევე, რაიონულ/საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებში.

⁴ ოზურგეთის #60 ოლქის #59 საარჩევნო უბანი

⁵ ოზურგეთის #60 ოლქის #13 საარჩევნო უბანი

⁶ ოზურგეთის #60 ოლქის #16 საარჩევნო უბანი

საოლქო საარჩევნო კომისიებში ადმინისტრაციული წარმოების მანკიერი პრაქტიკა:

- ხარვეზები ადმინისტრაციულ წარმოებასთან დაკავშირებით: როგორც საიას, ასევე სხვა სუბიექტების მიერ წარმოებულ დავებთან დაკავშირებით გამოიკვეთა, რომ საოლქო საარჩევნო კომისიები საარჩევნო კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით არ ატარებდნენ ადმინისტრაციულ წარმოებას. მაგალითად:
 - განკარგულებების გამოცემისას არ იცავდნენ ადმინისტრაციული წარმოების მოთხოვნებს (თიანეთის, კრწანისის, მარნეულის, დმანისის ოლქები), ვინაიდან მათ მიერ მიღებული განკარგულებები არ შეიცავდა სათანადო დასაბუთებას და მათი მიღებისას დარღვეული იყო ადმინისტრაციული წარმოების უმთავრესი პრინციპი - ადმინისტრაციულმა ორგანომ სრულყოფილად გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. მაგ: კენჭისყრის დღის მომდევნო დღეს დგებოდა შემაჯამებელი ოქმის შესწორების ოქმები⁷ საუბნო საარჩევნო კომისიის შესაბამისი წევრის მონაწილეობის გარეშე. შესწორების ოქმი დგებოდა მხოლოდ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა მეხსიერებისა და არა საარჩევნო დოკუმენტაციის (ჩანაწერთა წიგნის) გახსნისა და მისი არსებითი შესწავლის საფუძველზე. საოლქო საარჩევნო კომისიები უდავო და ზოგჯერ ერთადერთ მტკიცებულებად საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების ახსნა - განმარტებებს მიიჩნევდნენ, მათ შორის ისეთ შემთხვევებში, როდესაც ახსნა-განმარტება შემაჯამებელ ოქმებში არსებულ დისბალანსთან დაკავშირებით გამომრიცხავ მტკიცებულებას აყალიბებდა.
 - კენჭისყრაზე დგებოდა საკითხი, რომელიც არსებითად არ იყო გამოკვლეული.
- **საჩივრების დაუკმაყოფილებლობის ტენდენცია:** მიუხედავად დარღვევის სიმძიმისა, მთელ რიგ შემთხვევებში, საარჩევნო ადმინისტრაცია სრულად არ აკმაყოფილებდა საჩივრებს და მხოლოდ დისციპლინურ პასუხისმგებლობას უფარდებდა კომისიის წევრებს. არგუმენტაცია, რომელსაც საარჩევნო კომისიები ეყრდნობოდნენ, მდგომარეობდა იმაში, რომ მათი მოსაზრებით, **ზემოაღნიშნული დარღვევა არ წარმოადგენდა საარჩევნო კანონმდებლობის უხეშ დარღვევას, დარღვევას არ მოუხდენია გავლენა ამომრჩევლის თავისუფალი ნების გამოვლენაზე და კენჭისყრის დღესა და არჩევნების**

⁷ აღნიშნულის დამკვიდრებას ხელი შეუწყო მიმდინარე წელს საქართველოს საარჩევნო კოდექსში 26-ე მუხლის მე-2 ნაწილის დ¹) პუნქტის დამატებამ, რომლის თანახმადაც, საუბნო საარჩევნო კომისიას მიეცა უფლება, შეედგინა კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შესწორების ოქმი *შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების ახსნა-განმარტებების ან/და სხვა სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლების არსებობისას.*

შედეგებზე. მიუხედავად დარღვევის სიმძიმისა, საოლქო საარჩევნო კომისიები უპირატესობას დისციპლინური პასუხისმგებლობის მსუბუქი ზომების გამოყენებას ანიჭებდნენ და კანონით გათვალისწინებულ უფრო ადეკვატურ ღონისძიებებს არ მიმართავდნენ. მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტულ შემთხვევებში არსებული დარღვევები შესაბამისი მტკიცებულებებით იყო გამყარებული, საოლქო საარჩევნო კომისიები არ აკმაყოფილებდნენ საჩივარში დაყენებულ მოთხოვნებს და სათანადოდ არ იკვლევდნენ მტკიცებულებებს, განსაკუთრებით საუბნო საარჩევნო კომისიების შემაჯამებელი ოქმების ბათილობისა და კენჭისყრის შედეგების გადათვლის მოთხოვნის ნაწილში.

ანალოგიური სიტუაცია იყო სხვა სუბიექტების მიერ წარდგენილი საჩივრების განხილვისას. საოლქო საარჩევნო კომისიებში საჩივრების უმრავლესობა დაუკმაყოფილებელი ერთი და იგივე არგუმენტაციით რჩებოდა, კერძოდ: იდენტიფიცირებული დარღვევა არ წარმოადგენს მძიმე ხასიათის დარღვევას, რომელსაც არსებითი გავლენის მოხდენა შეუძლია არჩევნების საბოლოო შედეგებზე. საოლქო საარჩევნო კომისიები უგულვებელყოფდნენ საქართველოს საარჩევნო კოდექსის მოთხოვნებს, მიუხედავად იმისა რომ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა გადაცდომას არ უარყოფდნენ და აცხადებდნენ, რომ მათი ბრალეულობა არ არის ისეთი სიმძიმის, რომ მათ მიმართ გამოყენებულ იქნას ყველაზე მსუბუქი დისციპლინური სახის პასუხისმგებლობის დაკისრებაც კი.

- **პროაქტიულად საჩივრების განხილვის ნაკლები შემთხვევები:** საოლქო კომისიები იშვიათ შემთხვევაში იჩენდნენ ინიციატივას დაინტერესებულ პირთა საჩივრის არსებობის გარეშე, პროაქტიულად შეესწავლათ შესაძლო დარღვევები და მოეხდინათ მათზე შესაბამისი რეაგირება.

სამართალწარმოება სასამართლოებში

ხშირ შემთხვევაში სასამართლოები არ აკმაყოფილებდნენ საჩივრებს შემაჯამებელი ოქმების ბათილობისა და უბნების შედეგების გადათვლის ნაწილში, მათ შორის უხეში დარღვევის არსებობისას. ისინი იზიარებდნენ საარჩევნო კომისიების არგუმენტაციას, რომლის მიხედვითაც: „დარღვევა არ წარმოადგენდა საარჩევნო კანონმდებლობის უხეშ დარღვევას“, „დარღვევას არ მოუხდენია გავლენა ამომრჩევლის თავისუფალი ნების გამოვლენაზე და კენჭისყრის დღისა და არჩევნების შედეგებზე“.

ზემოაღნიშნული ტენდენციიდან გამონაკლისს წარმოადგენდა №6 სამგორისა და №12 გურჯაანის საოლქო საარჩევნო კომისიები. №6 სამგორის საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება იყო ერთადერთი 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე, რომლის მიხედვითაც, საიას მოთხოვნის შესაბამისად მოხდა შედეგების ხელახალი გადათვლა. რაც შეეხება №12 გურჯაანის საოლქო საარჩევნო კომისიას, მისი გადაწყვეტილებით, განხილული და დაკმაყოფილებულ იქნა საიას

შუამდგომლობა ერთსა და იმავე საკითხებზე წარდგენილი საჩივრების ერთობლივი განხილვის შესახებ და დაკმაყოფილდა შეტანილი საჩივრები.

აღსანიშნავია, აგრეთვე, თბილისის სააპელაციო⁸ და მცხეთის რაიონული სასამართლოს⁹ გადაწყვეტილებები. ერთ შემთხვევაში, აპელაციამ ნაწილობრივ დააკმაყოფილდა საიას საჩივარი და განმარტა, რომ: საბურთალოს ოლქის #60 და #41 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეებმა სათანადო შეფასება არ მისცეს და არ აღკვეთეს საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლის/დამკვირვებლის ქმედება მიმართული არჩევნებში მონაწილე პირთა მაიდენტიფიცირებელი, პერსონალური მონაცემების აღრიცხვის მიზნით, რომლის უფლებაც საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელს/დამკვირვებელს არ გააჩნია. ხოლო მეორე შემთხვევაში, სასამართლომ ბათილად ცნო თიანეთის ოლქის #16 და #17 განკარგულებები, ვინაიდან ისინი გამოცემული იყო ზოგადი ადმინისტრაციული და საარჩევნო კოდექსით დადგენილი მოთხოვნების დაუცველად¹⁰.

დამატებითი ინფორმაცია

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია არჩევნების დღის შემდგომი პერიოდის დაკვირვებას 52 საოლქო საარჩევნო კომისიაში (მათ შორის მეორე ტურზე 5 საოლქო საარჩევნო კომისიაში) ახორციელებდა. კენჭისყრის დღის დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, საია შესაბამისი საჩივრებით/სარჩევნო საბუღალტრო საუბნო, ასევე საოლქო საარჩევნო კომისიებსა და სასამართლოს მიმართავდა. გარდა სტრატეგიული სამართალწარმოებისა, საიას დამკვირვებლები სწავლობდნენ სხვა სუბიექტების (ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციებისა და საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლების) მიერ საოლქო საარჩევნო კომისიებსა და სასამართლოებში წარმოებულ საარჩევნო დავებს. ორ შემთხვევაში, საიამ საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლობა სასამართლო¹¹ დონეზე განახორციელა.¹²

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ მთლიანობაში არჩევნების შეფასება მხოლოდ კენჭისყრის დღის მიხედვით არასწორი და არასრული იქნება. მონიტორინგის შედეგების საბოლოო შეჯამების შემდეგ, საია წარმოადგენს მთლიან ანგარიშსა და კვლევას, სადაც გაანალიზებული იქნება არჩევნების მთლიანი სურათი წინასაარჩევნო პერიოდის, კენჭისყრის დღის, დავების განხილვისა და არჩევნების შედეგების შეჯამების პროცესი. აღნიშნულის საფუძველზე, საია საარჩევნო ადმინისტრაციასა და ხელისუფლებას მიაწვდის შესაბამის რეკომენდაციებს.

⁸ ქ. თბილისი, 28 ოქტომბერი, 2017 წელი (საქმე #38/7325-17. საქმე #330310017002143594)

⁹ ქ. მცხეთა, 25 ოქტომბერი, 2017 წელი (საქმე N-3/266 -17)

¹⁰ <https://gyla.ge/ge/post/sadamkvirveblo-organizaciebi-moutsodeben-samartaldamcav-organoeb-tianetis-saolqo-da-20-saubno-saarchevno-komisiis-qmedebbit-dainteresdnen#sthash.QNDT9MKz.dpbs>

¹¹ #19 თიანეთის მერობის კანდიდატის თამაზ მეჭიაურის წარმომადგენლობა, რა დროსაც დაკმაყოფილდა მოთხოვნა და გაუქმდა #19 თიანეთის ოლქის #16 და #17 განკარგულებები

¹² #83 ხელვაჩაურის ოლქში საარჩევნო ბლოკი ბაქრაძე უგულავა - ევროპული საქართველოს საქმეზე სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ შესწორების ოქმზე კომისიის წევრთა გაყალბებული ხელმოწერების მიუხედავად, შესწორების ოქმებზე კვორუმი ფიქსირდება ამ გაყალბებული ხელმოწერების გარეშე და მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს (საქმე #82031001700214769 (3-166))

ინკლუზიური და კონკურენტული საარჩევნო გარემო

საიასთვის სტრატეგიულ მიმართულებას წარმოადგენს, შეისწავლოს საქართველოში პოლიტიკური უფლებების რეალიზების მდგომარეობა, რამდენად დაცულია საქართველოს მოქალაქეების პასიური და აქტიური საარჩევნო უფლებები და არსებული საკანონმდებლო ბაზა რამდენად უზრუნველყოფს კონკურენტული, სამართლიანი და ინკლუზიური საარჩევნო გარემოს შექმნას.

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ინკლუზიური გარემოს შეფასების მიზნით, საია დაკვირვებას ახორციელებდა როგორც წინასაარჩევნო გარემოზე, ასევე - კენჭისყრის დღეზე.

უნდა აღინიშნოს, რომ მერობის/მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების რეგისტრაციის ბოლო ვადამდე მიმდინარებოდა შიდაპარტიული დისკუსიები კანდიდატების შერჩევა/წარდგენასთან დაკავშირებით და ამ არჩევნებზეც ქალთა ნომინირება წამყვან ადგილებზე და მათი პოლიტიკაში მონაწილეობა კვლავ გამოწვევად დარჩა.¹³

საანგარიშო პერიოდისათვის, ერთგვარ გამოწვევად დარჩა, აგრეთვე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პოლიტიკური/საარჩევნო უფლებების რეალიზება.

შშმ პირთა პოლიტიკური/საარჩევნო უფლებების დაცვისა და კვლევის დროს გამოკვეთილი პრობლემებისა და მიგნებების გადაწყვეტილების მიმღები პირებისათვის გაზიარების მიზნით:

- საია აქტიურად ჩაერთო ცესკოს ფორმატში არსებული ინკლუზიური გარემოს ხელშეწყობ საბუთო ჯგუფში, სადაც საარჩევნო ადმინისტრაციასა და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად განიხილავს და მსჯელობს იმ გამოწვევებსა და საჭიროებებზე, რომელიც შშმ პირთა უფლებრივ მდგომარეობას გააუმჯობესებს. მაგ: მიმდინარე წელს ჯგუფის ფორმატში შეიქმნა შშმ პირთა მიმართ საუბნო საარჩევნო კომისიებში, კომისიის წევრთა ქცევის სტანდარტი, ადაპტირებული გახდა ცესკოს ვებ-გვერდი მცირე მხედველთათვის და ამოქმედდა სერვისი ყრუ და სმენადაქვეითებული ამომრჩევლებისათვის ინფორმაციის ჟესტურ ენაზე მიწოდების თაობაზე.¹⁴
- აღნიშნულის გარდა, საიამ შექმნა ცალკე პლატფორმა ინკლუზიური გარემოს კვლევის საფუძველზე წარმოდგენილი მიგნებისა და გამოწვევების გასაზიარებლად შექმნა

¹³ <https://gvla.ge/ge/post/qalta-politikuri-monatsileobis-samushao-jgufis-ganckhadeba#sthash.Xc98maFX.dpbs>

¹⁴ <http://cesko.ge/geo/list/show/111356-tsesko-kru-da-smenadaqveitebul-amomrchevlebs-informatsias-jestur-enaze-miatsvdis>

ინკლუზიური გარემოს ხელშემწყობი თემატური ჯგუფი, რომელშიც გაწევრიანებული არიან როგორც საარჩევნო ადმინისტრაციის, ასევე სახალხო დამცველის, პერსონალურ მონაცემთა ინსპექტორისა და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. ჯგუფის მუშაობის მიზანს წარმოადგენს იმსჯელოს არსებულ გამოწვევებზე და რეალური ნაბიჯები დაგეგმოს ინკლუზიური და კონკურენტული საარჩევნო გარემოს შესაქმნელად.¹⁵

- საქართველოს მასშტაბით გამართა არაერთი ქსელური შეხვედრა საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებთან, კანდიდატებთან, მედიისა და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. შეხვედრების დროს სხვა საარჩევნო საკითხებთან ერთად სწორედ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პოლიტიკური/საარჩევნო უფლებრივი მდგომარეობის კუთხით არსებულ გამოწვევებსა და საარჩევნო პროცესში ჩართული მხარეების მიერ, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში განსახორციელებელი აქტივობების საჭიროებებზე ისაუბრა შშმ პირთა მიმართებაში.
- 2017 წლის არჩევნებისთვის, პირველად საიას სადამკვირვებლო მისიაში, კენჭისყრის დღის მონიტორინგისას ყურადღება გამახვილდა, რამდენად ახორციელებდნენ შშმ პირები თავიანთ კონსტიტუციურ უფლებას - არჩევნებში აქტიურ მონაწილეობას და რა ხელშემშლელი გარემოებები არსებობდა მხარდამჭერის მიმღები პირებისათვის, როგორც არჩევნებში მონაწილე სუბიექტებისათვის.

წინასაარჩევნო გარემო

წინასაარჩევნო გარემოს შეფასების მიზნით, მთელი ქვეყნის მასშტაბით ჩატარდა 30-მდე ქსელური შეხვედრა მედიის, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების, საარჩევნო ადმინისტრაციებსა და საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებთან. შეხვედრებზე მონაწილეებმა სპეციალური კითხვარების საშუალებით შეაფასეს ქალების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკური/საარჩევნო უფლებების რეალიზების კუთხით არსებული სიტუაცია.

მონაწილეების დაახლოებით 30% მიიჩნევდა, რომ ხელშემწყობი წინასაარჩევნო გარემო იყო კანდიდატი ქალების, შშმ პირების და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მონაწილეებმა ყურადღება გაამახვილეს მთელ რიგ გამოწვევებზე, რაც მათი აზრით ხელშემშლელი ფაქტორებია საარჩევნო უფლებების რეალიზებისას, კერძოდ: ინფორმაციული ვაკუუმი, არსებული სტერეოტიპები, ენობრივი ბარიერი და სხვ.

¹⁵<https://gvla.ge/ge/post/2016-tslis-saparlamento-archevnebzhe-mighebuli-gamocdileba-da-samomavlo-nabijebi-2017-tslis-adgilobrivi-tvitmartvelobis-archevnebstvis#sthash.sB5qKoeE.dpbs>


კენჭისყრის დღე

საიას დამკვირვებლები 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების კენჭისყრის დღეს სპეციალურად შექმნილი კითხვარების საშუალებით აკვირდებოდნენ.

საარჩევნო გარემოს ინკლუზიურობის შეფასებისას დაფიქსირდა შემდეგი დარღვევები:

- სიძულვილის ენის გამოყენება წარდგენილი ქალი კანდიდატების მიმართ;
- უბნები არ იყო სათანადოდ ადაპტირებული რამაც შშმ ამომრჩევლისთვის შეაფერხა ხმის მიცემის პროცედურა;
- მიუხედავად საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ შემუშავებული ქცევისა და ეთიკის კოდექსისა, საარჩევნო უბანზე მყოფი კომისიის წევრების მხრიდან, დაფიქსირდა არაერთი დარღვევა, რომელიც გამოიხატებოდა შშმ ამომრჩევლის მიმართ რეპლიკებითა და კომენტარებით, მაგ: კომისიის თავმჯდომარემ შეზღუდვის არმქონე ამომრჩეველს არ მისცა შშმ ამომრჩევლისთვის განკუთვნილ კაბინაში შესვლის უფლება იმ მოტივით, რომ არ აკადრებდა „იმათთვის“ განკუთვნილ კაბინაში შესვლას. ასევე, კომისიის წევრები იყენებდნენ სიტყვა „ინვალიდს“ დამაკნინებელ კონტექსტში (საბურთალოს მე-11 და ჩულურეთის მე-15 უბნები);
- ენობრივი ბარიერი ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის პოლიტიკური უფლებების რეალიზებისას.

ინკლუზიური საარჩევნო გარემოს დაკვირვების შესახებ დეტალური ინფორმაცია წარდგენილი იქნება შესაბამისი კვლევების ფარგლებში, სადაც სწორედ ზემოაღნიშნული პირების პოლიტიკურ და საარჩევნო პროცესებში ჩართულობის ხარისხისა და ხელშემშლელი გარემოებების ანალიზი მოხდება.



#3 საბურთალოს ოლქის #68 და #70 საარჩევნო უბნები სადაც, საიას დამკვირვებლის მიერ მოწოდებული ინფორმაციით რეგისტრირებული იყო შშმ ამომრჩეველი. ასევე, ცესკოს მიერ გავრცელებული [ინფორმაციით](#) ზემოთ აღნიშნული უბნები აღჭურვილი უნდა ყოფილიყო პანდუსით.

თემატურ ჯგუფებში მუშაობა და 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე გამოკვეთილი გამოწვევების მიხედვით შემუშავებული რეკომენდაციების ადვოკატირება

საიამ 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე გამოკვეთილი მიგნებებისა და გამოწვევების გაანალიზების მიზნით, დაინტერესებული პირების მონაწილეობით თემატურ ჯგუფებში, რეკომენდაციებზე მუშაობა განაგრძო.

თემატურ ჯგუფებში მუშაობის მიზანია არჩევნებზე საარჩევნო და პოლიტიკური უფლებების რეალიზებისას საკანონმდებლო და პრაქტიკის კუთხით იდენტიფიცირებული გამოწვევებისა და მათ გადაჭრის გზების ძიება, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოში კონკურენტული, სამართლიანი და ინკლუზიური საარჩევნო გარემოს დამკვიდრებას.

თავისუფალი და სამართლიანი საარჩევნო გარემოს დამკვიდრების საქმეში ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წინა არჩევნებისას მიღებული გამოცდილების გაანალიზება წარმოადგენს. ეს საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ საარჩევნო კანონმდებლობასა და პრაქტიკაში არსებული გამოწვევების იდენტიფიცირება და დავგეგმოთ სამომავლო ნაბიჯები. სისტემური ანალიზი კი იმ უზუსტობებისა და ნაკლოვანებების აღმოფხვრაში დაგვეხმარება, რომლებიც ერთიანობაში მანკიერი პრაქტიკის დამკვიდრებას განაპირობებს.

საიამ, წინა არჩევნების პრაქტიკული გამოცდილებიდან, საკუთარი მიგნებები და რეკომენდაციები 5 ძირითადი თემატური მიმართულებით შეიმუშავა:

- წინასაარჩევნო, არჩევნების დღე და შემდგომი პერიოდის დარღვევები (წინასაარჩევნო აგიტაცია, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება და სხვა);
- არჩევნებში ჩართული უწყებების (საარჩევნო ადმინისტრაცია, აუდიტის სამსახური, უწყებათმორისი კომისია და სხვა) საქმიანობა;
- ობიექტური, სამართლიანი, დამოუკიდებელი და ეფექტური გამოძიების ხელშეწყობა სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზომების გამოყენებისას პოლიტიკურად აქტიური პირების მიმართ;
- სამართლიანი სასამართლოს ხელმისაწვდომობისა და ერთგვაროვანი პრაქტიკის დამკვიდრების ხელშეწყობა;
- ინკლუზიური და კონკურენტული საარჩევნო გარემოს ხელშეწყობა ქალების, შშმ პირებისა და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებისთვის.

საარჩევნო პროცესით დაინტერესებულ ყველა პირს ვთავაზობს თემატურ ჯგუფებში გაერთიანებას და თანამშრომლობას. აგრეთვე, საქართველოს მასშტაბით შემუშავებული რეკომენდაციების ადვოკატირებისათვის, ვაგრძელებთ შეხვედრების ციკლს პოლიტიკური პარტიების, მედიის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან.



USAID | GEORGIA
FROM THE AMERICAN PEOPLE

საინფორმაციო ტექნოლოგიების მონაწილეობა შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერის წყალობით, რომლის აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით იქნა გაწეული. საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით მონაწილეობის საპროგრამო ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას და შესაძლებელია არ გამოხატავდეს USAID-ის და აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.

THIS NEWS LETTER WAS MADE POSSIBLE BY THE GENEROUS SUPPORT OF THE AMERICAN PEOPLE THROUGH THE UNITED STATES AGENCY FOR INTERNATIONAL DEVELOPMENT (USAID). THE OPINIONS EXPRESSED IN THIS NEWS LETTER BELONG TO GYLA AND MAY NOT REFLECT THE OPINIONS OF THE DONOR.